საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტი

„დამტკიცებულია ცვლილებებით“

რექტორი პროფ. გიორგი ღავთაძე

აკადემიური საბჭოს დადგენილება №

21 სექტემბერი 2018 წელი

„დამტკიცებულია ცვლილებებით“

დეკანი ასოც.პროფ. ამირან ბრეგვაძე

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 2

20 სექტემბერი 2018 წელი

საბაკალავრო პროგრამა

მენეჯმენტი

2018 -2022

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	საზღვაო სატრანსპორტო ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	მენეჯმენტი Management
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	მენეჯმენტის ბაკალავრი Bachelor of of Management
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	240 ECTS კრედიტი (4 აკადემიური წელი, 8 სემესტრი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა ინიცირებული იქნა და შემუშავდა 2017 წელს (საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი №2 3.10.2017წ., სხდომის ოქმი №3, 17.11. 2017წ.)
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	ამირან ბრეგვაძე -საზღვაო გადაზიდვებისა და მოდელირების ასოცირებული პროფესორი. ტელ.: 578 13 18 01 ელ.ფოსტა: amiran.bregvadze@atsu.edu.ge ლალი ხარბედია - ბიზნესის მართვის ასოცირებული პროფესორი. ტელეფონი: 595 21 54 05; ელ.ფოსტა: lali.kharbedia@atsu.edu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს; საქართველოს მოქალაქეებისათვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დოკუმენტი, რომელიც ანიჭებს აბიტურიენტს სტუდენტის სტატუსს; უცხო ქვეყნის მოქალაქეების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად.
პროგრამის მიზნები	პროგრამის მიზანია მოამზადოს მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხის მქონე, მომავალზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც ფლობენ დარგის ფართო თეორიულ ცოდნას

	ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში და აქვთ ცვალებად ეკონომიკურ გარემოში ადაპტაციის, მიზნის ჩამოყალიბების, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, ცალკეული პრობლემების გადაჭრის ახალი და ორიგინალური გზების დასახვის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ასევე, მართვის თანამედროვე მეთოდებისა და პრინციპების თეორიულ ცოდნასთან ერთად, აქვთ რეგიონული ბიზნესის ძირითად ფუნქციონალურ მიმართულებებში (საზღვაო გადაზიდვები, ლოგისტიკური ფირმები, საზღვაო ნავსადგურები, სატრანსპორტო საწარმოები, საბანკო და მიკრო-საფინანსო დაწესებულებები) მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების ანალიზის უნარი და შეუძლიათ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.
სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)	
ცოდნა და გაცნობიერება	**კურსდამთავრებულმა იცის:** მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის თეორიული პრინციპები, ბიზნესის ფუნქციონირების კანონზომიერებები, მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგების პროპორციული შეთანაწყობის და ეფექტური რეგიონული პოლიტიკის შემუშავების საკითხები, ზოგადი მენეჯმენტის, ინოვაციური მენეჯმენტის, პროექტის მართვის, ლოგისტიკის, მარკეტინგისა და პერსონალის მართვის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლები. ასევე ფლობს მართვის მათემატიკურ მეთოდებსა და მოდელებს, ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების სტატისტიკურ მეთოდებს, ინგლისურ ენაზე მეტყველების ენობრივ-გრამატიკული უნარ-ჩვევების ფუნქციურად გამოყენების ხერხებს და შეუძლია ინგლისურ ენაზე წერილობითი თუ ზეპირი ფორმით კომუნიკაცია. **გაცნობიერებული აქვს:** ახალ და ცვალებად ბიზნეს გარემოში მენეჯერის ადექვატური მოქმედებისა და ადაპტაციის, საკითხის სხვადასხვა ჭრილში განხილვის და განსხვავებული მიდგომებით გადაჭრის მნიშვნელობა, ასევე გუნდური მუშაობის და სხვებთან ერთად პროფესიული განვითარების აუცილებლობა. გარდა ამისა, საფუძვლიანად აქვს გაცნობიერებული და იცის მის მიერ შერჩეული დარგისა და ქვედარგის სპეციფიკა, კერძოდ: **საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის კონცენტრაციის კურსდამთავრებულმა იცის:** • დარგის განვითარების ზოგადი ტენდენციები და სატრანსპორტო საწარმოს სტრატეგიული ამოცანები; • ტრანსპორტის სფეროში მართვის კანონზომიერებები და მენეჯერის ძირითადი ფუნქციები; • საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და მეთოდები; • ტვირთების კლასიფიკაცია, სატრანსპორტო მახასიათებლები და მათი გავლენა სატრანსპორტო პროცესის ორგანიზაციაზე; სხვადასხვა ტვირთების გადაზიდვის წესები; ტვირთების ხარისხის განსაზღვრის მეთოდები; ტრანსპორტირების ნორმატიული ბაზა; • ლოგისტიკის გამოყენების მეთოდოლოგიური საფუძვლები; • სატვირთო გეგმის შედგენის წესი; საერთო მოთხოვნები სატვირთო

	გეგმისადმი; • სატრანსპორტო პროცესის ტქნიკური საშუალებები და მათი ექსპლუატაციის თავისებურებები. **გაცნობიერებული აქვს:** • სხვადასხვა კატეგორიის ტვირთის გადაზიდვის ორგანიზაციის თავისებურებები; • საზღვაო ნავსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და ნავსადგურების ტექნოლოგიური პროცესი; • სატრანსპორტო და გადამტვირთავი მანქანების ტექნოლოგიური მახასიათებლები; • სატრანსპორტო საექპედიტორო მომსახურების ორგანიზაციული საკითხები; • კომერციული საქმიანობის ორგანიზაციის, სატარიფო პოლიტიკის, აგენტირების, ექსპედიტორული და საშუამავლო საქმიანობის, ხელშეკრულების სწორად გაფორმების პროცესის მნიშვნელობა სატრანსპორტო პროცესის სრულ ციკლში. **მცირე ბიზნესის მართვის კონცენტრაციის კურსდამთავრებულმა იცის:** • ბიზნესის ზოგადი ცნებები, თანამედროვე ფორმები და განვითარების ძირითადი ტენდენციები; • მცირე ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სტრატეგიები; • მცირე საწარმოებში ბიზნესის ორგანიზაციისა და დაგეგმვის თავისებურებები; • ბიზნეს-გეგმის შედგენის პროცედურები და მის რეალიზაციაზე მოქმედი ფაქტორები; • თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიის სახეები და შეუძლია ბიზნესის კონკურენტუნარიანობის შეფასება; **გაცნობიერებული აქვს:** • მცირე ბიზნესის ადგილი და როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში; • მცირე ფირმების ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის მექანიზმების და მათი მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ცოდნის მნიშვნელობა; • ბიზნესის სფეროში ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობა და შესწევს კერძო და სახელმწიფო ინტერესების ჰარმონიულ ურთიერთობათა ჩარჩოში მოქცევის უნარი.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	**კურსდამთავრებულს აქვს:** • ორგანიზაციაში პროცესების მართვის ძირითადი უნარები: პროცესების იდენტიფიცირება, ეფექტიანობის გაზომვა, ბიზნეს–პროცესის მონაწილეების განსაზღვრა და სხვა; • ძირითადი მარკეტინგული უნარები: მარკეტინგული მონაცემების შეგროვება და გაანალიზება, ბაზრის შესაძლებლობების განსაზღვრა და შესაბამისი ქმედებების განხორციელება და სხვა; • ძირითადი ფინანსური უნარები: ფინანსური დოკუმენტების ინტერპრეტაცია, ფინანსური ინფორმაციის ანალიზი და ანგარიშგების მომზადება/წარდგენა, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტირება და სხვა; • პროექტის მართვის უნარი: მიზნის ფორმულირება; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა; დროითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა; პასუხისმგებლობის ფარგლებში ამოცანების, საჭირო რესურსების განსაზღვრა და სხვა; • სტანდარტული, ასევე ახალი მეთოდისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით საქმიანობის, ინსტრუქციების მიხედვით პროფესიული

	სამუშაოს შესრულების უნარი; • მმართველობით სფეროში მიღებული თეორიული ცოდნის კვალიფიციურად გამოყენების, არგუმენტების ჩამოყალიბების, მათი დაცვის და პრობლემების გადაწყვეტის უნარი. გარდა ამისა, ფლობს მის მიერ არჩეული კონცენტრაციის შესაბამის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, კერძოდ: **საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შუძლია:** • ტრანსპორტის მენეჯმენტის პრაქტიკაში დანერგვა, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მიღების, დამუშავების, მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების, სისტემური ანალიზის საქმეში შესაბამისი პროგრესული ტექნიკის გამოყენებას; • ტიპიური ამოცანების იდენტიფიცირება ლოგისტიკური მეთოდების გამოყენებით; • პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის სწორად გაფორმება; • ლოგისტიკური ჯაჭვების და სქემების შერჩევა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, ლოგისტიკური პროცესების მართვა და ოპტიმალური ლოგისტიკური სისტემების მოძებნა; • ტრანსპორტის მუშაობის დაგეგმვა და დანახარჯების განსაზღვრა ტვირთის გადაზიდვაზე; • ტვირთების დაუცველობის შემთხვევების დროულად გამოავლენა და ღონისძიებების დასახვა მათ გადასაჭრელად; • სატრანსპორტო მახასიათებლების გათვალისწინებით ტვირთების კომპლექტაცია სასაწყობე და სატრანსპორტო სათავსოებში, გადაზიდვის სატრანსპორტო ტექნოლოგიური სისტემებისა და სატვირთო ერთეულის გამსხვილების საშუალებების შერჩევა. **მცირე ბიზნესის მართვის კონცენტრაციის კურსდამთავრებულს შუძლია:** • მცირე ბიზნესში საქმიანობის განხორციელება, დაგეგმვა და მართვა მისი სპეციფიკის გათვალისწინებით და აღნიშნულ სეგმენტში პრობლემების გადაწყვეტა სფეროსათვის დამახასიათებელი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. • მცირე ბიზნესთან დაკავშირებული პრობლემების - მარკეტინგული, ორგანიზაციული, სამართლებრივი - ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების შეგროვება/იდენტიფიცირება. აგრეთვე აღნიშნულ თემატიკაში სიტუაციების ანალიზი, მცირე ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორებისა და პრიორიტეტული სფეროების დადგენა, მცირე ბიზნესის სტიმულირების მექანიზმების შემუშავება; კურსდამთავრებულს აქვს: • სამეწარმეო გარემოს შეფასების, სტრატეგიული დაგეგმვის და ბიზნესის მოდელირების, ბიზნეს-გეგმის დამოუკიდებლად დამუშავების პრაქტიკული უნარ- ჩვევები.
დასკვნის უნარი	კურსდამთავრებულს აქვს: • ბიზნესის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და ტენდენციების ანალიზის, რისკების შეფასების, შესაბამისი დასკვნების გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. კურსდამთავრებულს შეუძლია: • პირველად და მეორად ინფორმაციულ წყაროებზე დაყრდნობით მონაცემთა ლოგიკური განზოგადება, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და

	მათი პრეზენტაცია.
კომუნიკაციის უნარი	კურსდამთავრებულს აქვს: • პროფესიული კომუნიკაციის უნარ–ჩვევები; შეუძლია ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია წერილობითი და ელექტრონული ფორმით. შეუძლია: • თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და აქტიური კომუნიკაცია ბიზნეს პარტნიორებთან და ბიზნესის მარეგულირებელ საჯარო სამსახურებთან.
სწავლის უნარი	კურსდამთავრებულს აქვს: • სწავლისთვის საჭირო პირადი მოთხოვნების განსაზღვრის, გააზრების და გადაწყვეტის უნარი როგორც ზოგად, ისე პროგრამასთან დაკავშირებულ სფეროებში. შეუძლია: • სწავლის და დამოუკიდებელი მუშაობის დროის დაგეგმვა და ორგანიზება; • სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება; • უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელება.
ღირებულებები	კურსდამთავრებულს შეუძლია: • დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის ან კოლეგიალური დახმარების პირობებში, წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების შესაბამისად; • მის მიერ განხორციელებული მმართველობითი საქმიანობის შეფასება და ანალიზი; გაცნობიერებული აქვს: • ეთიკის ფასეულობების, სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა ბიზნესის სფეროში და მათი დამკვიდრების აუცილებლობა თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში.
სწავლების მეთოდები	**სწავლების ფორმები** - ლექცია, სემინარი, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობები, მიზნობრივი წერითი ნაშრომი, კონსულტაცია და პროფესიული პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა. **სწავლის მეთოდები** - დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, დემონსტრირების მეთოდი, ვერბალური და წერითი მუშაობის მეთოდები, ევრისტიკული მეთოდი, პრაქტიკული, ლაბორატორიული, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პრეზენტაცია, ელექტრონული სწავლების დასწრებული ფორმა. • **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. • **ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. • **შემთხვევის ანალიზი** - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და

	საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. • **გონებრივი იერიში–** პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. • **როლური და სიტუაციური თამაშები** – მიეკუთვნება თამაშების ტიპის მეთოდებს, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს. • **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. • **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ. • **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. • **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. • **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება. • **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია. • **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო პრაქტიკა. • **ლაბორატორიული მეთოდი** გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამოცანების დასმა, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ. • **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას.

	პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.
პროგრამის სტრუქტურა	პროგრამა მოიცავს: საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს - 45 ECTS კრედიტი, არჩევით კურსებს -15 ECTS კრედიტი, პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებს - 120 ECTS კრედიტი, პროგრამის არჩევით კონცენტრაციებს: 60 ECTS კრედიტი „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“; 60 ECTS კრედიტი „მცირე ბიზნესის მართვა“
შეფასების წესი	სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. სასწავლო კურსის შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა (max 60 ქულა) და დასკვნითი გამოცდის შეფასების (max. 40 ქულა) ჯამს. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. შეფასების სისტემა უშვებს: ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. (FX) ვერ ჩააბარა-ს მიღების შემთხვევაში უსდ ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას. დასკვნითი გამოცდა დაძლეულად ითვლება დასკვნითი გამოცდის მახსიმალური 40 ქულიდან არანაკლებ 15 ქულის მიღების შემთხვევაში და დასკვნით გამოცდაზე 15 ქულაზე ნაკლები შეფასების მქონე სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, შეფასდება FX–ით (ვერ ჩააბარა). სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შფასებას არ ემატება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-დან 50 ქულის

	მიღების შემთხვევაში საბოლოო საგომოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F)-0 ქულა. ცალკეულ კურსებში შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამისი კურსის სილაბუსით
დასაქმების სფეროები	კურსდამთავრებულმა შეიძლება დაიკავოს კერძო და საჯარო სექტორში მენეჯერის პოზიცია. კურსდამთავრებულთა დასაქმების ძირითადი სფეროებია: სატრანსპორტო ტერმინალები, საზღვაო ნავსადგური, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ეკონომიკური და ლოჯისტიკური სამსახურები, შემოსავლების სამსახური (საბაჟო გამშვები პუნქტები, გაფორმების ეკონომიკური ზონები), ასევე, საბანკო სექტორი, მიკროსაფინანსო დაწესებულებები და საჯარო ორგანიზაციები.
აუცილებელი რესურსები და დამხმარე პირობები	**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსები:** საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწელეობს აწსუ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი: სრული პროფესორი - 4; ასოცირებული პროფესორი -11; ასისტენტ პროფესორი -6; მოწვეული სპეციალისტი - 3. **საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები:** მენეჯმენტის პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-ს XX სასწავლო კორპუსი (მისამართი: ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №11), საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკები (წიგნადი ფონდი, ელექტრუნული ბაზა), საფაკულტეტო კომპიუტერული ცენტრი, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, სწავლებისათვის აუცილებლად საჭირო სხვა სასწავლო-მეთოდური მასალები. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების კურსის პარალელურად სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან ქ.ფოთში არსებულ თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ, მოქმედ საზღვაო-სატრანსპორტო, გადამზიდავ ფირმებში და მცირე საწარმოებში. სტუდენტები პროფესიულ, საწარმოო პრაქტიკას გაივლიან თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ, მოქმედ საზღვაო-სატრანსპორტო, გადამზიდავ ფირმებში და მცირე საწარმოებში: სს ფოთის ნავსადგური, შპს „კაისა 2“, შპს „გლობალ კომპანი“, შპს „ტრანს-ალიანს-ფოთი“, შპს U&G AGENCY“, შპს „ნეოიბერია ჯგუფი“ (ქ. ფოთი), შპს „ ზ ტრანს ჯგუფი“, (ქ. თბილისი), „კასპიან ლოჯისტიკს ანდ ფრეით ფორწარდინგ“ (ქ. ბაქო), შპს „სუვარი სჰიფინგ ენდ ტრაიდინგ კომპანი“ (ქ. სტამბული), შპს „ბირ დუნია“ (ქ. აშხაბადი) და სხვ. ბაზაზე.

ზოგადი კომპეტენცია

№	კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
I. სავალდებულო სასწავლო კურსები							
I.1 საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები							
1.	უცხო ენა 1	x	x	x	x	x	x
2.	კომპიუტერული უნარები	x	x		x	x	
3.	აკადემიური წერა	x	x	x	x	x	x
4.	უცხო ენა 2	x	x	x	x	x	x
5.	უცხო ენა 3	x	x	x	x	x	x
I.2 საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები							
6.	მათემატიკა ბიზნესისათვის 1	x	x	x		x	
7.	მათემატიკა ბიზნესისათვის 2	x	x	x		x	
8.	საქართველოს ისტორია	x	x	x	x	x	x
9.	მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია	x	x		x	x	x

№	კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
II. არჩევითი კურსები							
II.1.1	ორგანიზაციული და კომუნიკაციური უნარჩვევები	x	x		x	x	x
II.1.2	საზღვაო გზების გეოგრაფია	x	x			x	x
II.2.1	გარემო და მდგრადი განვითარება	x	x	x			
II.2.2	შრომის უსაფრთხოება და ჰიგიენა პორტებში	x	x				x
II.3.1	პროექტის მართვა	x	x	x	x	x	x
II.3.2	საბაკალავრო ნაშრომი	x	x	x	x	x	x

№	კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
III. პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები							
III.1	მიკროეკონომიკის პრინციპები	x	x			x	x
III.2	მაკროეკონომიკის პრინციპები	x	x	x			x
III.3	შესავალი მენეჯმენტში	x	x	x	x	x	x
III.4	სტატისტიკის თეორია	x	x	x	x		x
III.5	ფინანსური აღრიცხვა 1	x	x	x	x	x	x
III.6	მათემატიკა ბიზნესისათვის 3	x	x	x			x
III.7	წარმოების მენეჯმენტი	x	x	x	x	x	x
III.8	ფინანსური აღრიცხვა 2	x	x		x	x	
III.9	ფინანსების საფუძვლები	x	x	x	x	x	x
III.10	შესავალი მარკეტინგში	x		x	x	x	
III.11	დარგობრივი უცხო ენა	x	x	x	x	x	x
III.12	პერსონალის მართვა	x	x		x	x	
III.13	მათემატიკური მეთოდები და მოდელები მართვაში	x	x	x	x	x	x
III.14	საბანკო საქმის საფუძვლები	x	x	x		x	x
III.15	მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები	x	x		x		
III.16	ლოგისტიკის საფუძვლები	x	x		x		x
III.17	ინოვაციური მენეჯმენტი	x	x	x	x		
III.18	აუდიტის საფუძვლები	x	x		x	x	x
III.19	საერთაშორისო ბიზნესი	x	x	x	x		x
III.20	ორგანიზაციული ქცევა	x	x	x	x	x	x
III.21	Excel-ი ბიზნესისათვის	x	x	x	x	x	

III.22	საბაჟო საქმე	x	x		x	x	x
III.23	რისკები და დაზღვევა	x	x		x	x	x
III.24	ლიდერობა და გუნდის მართვა	x	x	x	x	x	x

IV. პროგრამის არჩევითი კონცენტრაციები[1]

№	კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	დირებულებები
IV. 1. კონცენტრაცია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“							
IV.1.1	საზღვაო ტრანსპორტი და ნავსადგურები	x	x	x			
IV.1.2	ტვირთმცოდნეობა	x	x				x
IV.1.3	ინფორმაციული სისტემები ტრანსპორტზე	x	x	x	x	x	
IV.1.4	საზღვაო-სატრანსპორტო და გადამტვირთი მანქანები	x	x	x			
IV.1.5	სატრანსპორტო ლოგისტიკა	x	x	x		x	
IV.1.6	საზღვაო სატრანსპორტო გადაზიდვების ტექნოლოგია	x	x	x			
IV.1.7	სატრანსპორტო საექსპედიტორო მომსახურება	x	x		x		x
IV.1.8	ტრანსპორტის მენეჯმენტი	x	x				x
IV.1.9	ფლოტის მართვა და გემების აგენტირება	x	x		x		x
IV.1.10	საკონტეინერო გადაზიდვები	x	x	x			x
IV.1.11	კომერციული საქმიანობა საზღვაო ტრანსპორტზე	x	x	x			x
IV.1.12	პროფესიული პრაქტიკა	x	x	x	x		x

[1] შეთავაზებული ძირითადი სპეციალობების არჩევითი კონცენტრაციებიდან სტუდენტი ირჩევს ერთ კონცენტრაციას მეოთხე სემესტრის ბოლოს და სწავლას აგრძელებს მეხუთე სემესტრიდან.

№	კურსის დასახელება	კომპეტენციები					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
IV. 2. კონცენტრაცია „მცირე ბიზნესის მართვა“							
IV. 2.1	შესავალი ბიზნესში	x	x	x	x	x	x
IV. 2.2	სტატისტიკა ბიზნესისათვის	x	x		x	x	x
IV. 2.3	მცირე ბიზნესის მართვა	x	x	x	x		x
IV. 2.4	თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები	x	x		x	x	
IV 2.5	გაყიდვების მართვა	x	x	x	x		x
IV 2.6	ბიზნესის სამართლის საფუძვლები	x	x	x			x
IV 2.7	მცირე ბიზნესის დაგეგმვა	x	x	x	x		x
IV 2.8	საგადასახადო საქმე	x	x	x	x	x	x
IV 2.9	მცირე ბიზნესის მართვის ავტომატიზებული სისტემები	x	x	x	x	x	
IV 2.10	ფინანსური ანალიზი მცირე საწარმოებში	x	x		x	x	
IV 2.11	ბიზნესის ეთიკა	x	x	x	x		x
IV 2.12	პროფესიული პრაქტიკა	x	x		x		x